№ 46

ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

№ 46

ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 1901 წ.

ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი ხტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქციის ადგილი: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართველ ქალთა აშხანაგობის საკერვალოში

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ. ფასები დაკლებულია.

საშერნმო ბანკის

გამგეობა სთხოვს ამ ბანკის წევრთა მობრძანდნენ საზოგადო წლიურ კრებაზე, რომელიც დანიშნულია ბანკისავე დარბაზში თერმეტ მარტს, დილით თერთმეტ საათზე (სასახლის ქუჩა, სარაჯოვის სახლი).

განსახილველი საგნები:

1. საბჭოს მოხსენება წლიურ ანგარიშის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება იმავე საგნის შესახებ.
3. ანგარიში 1900 წლისა.
4. ხარჯთ-აღრიცხვა 1901 წლისა.

და 5. არჩევანი: ერთის დირექტორისა, თ. ვლ. ს. მიქელაძის მაგივრად, ორის საბჭოს წევრისა ნაცვლად ბბ. ი. გ. თულაშვილისა და ი. ბ. საგინაშვილისა და სამის სარევიზიო კომისიის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა. (2—ნ.—2)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში იყიდება შემდეგი

ხეხილეები:

მსხალისა, ვაშლისა, ალუბლისა, კაკლისა, ატმის საუკეთესო ჯიშის ხეები. (3—ნ.—1)

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელი მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ რადგანაც კომიტეტს შეძლება აქვს დაამთავროს წარსულ ზაფხულს მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარება შემწეობის საქმე, იგი ამიერიდგან **ახალ შემოწირულებას მოახმარებს მოუსავლობით დაზარალებულთა საჭიროებას.**

შემოწირულებას მადლობით მიიღებენ ის დაწესებულებანი და პირნი, რომელნიც მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ იღებდნენ შემოწირულებას. (2—უ—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

3. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

6. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ეძიმი ძალი მ. ხ. ბაძრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბაქელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოთი:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ბ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო კაბინეთი

დოქტორის

ი. იაკ. გოკიელისა,

ილებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეიდისა და ნემენტთა ქუჩების კუთხე, № 81, სდოვიტკის სახლი. შესვლა ნემენტთა ქუჩიდგანა აქვს.

(100—256—24)

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ფოსტალიონად ნამყოფი ვასილ ბახტაძე—სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი სიმონ ერაძე—იგდირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

სამგლოვიარო დეპეშები

ნახჩევანი. (ერევ. გუბ.) ვწუხვართ მთელ საქართველოსთან ერთად სამშობლოს საუკეთესო მგოსნისა და ხალხის გრძნობათა გამომთქმელის რაფიელ ერისთვის გარდაცვალებას. ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი, დუტუ მეგრელი.

—

ვწუხვართ და ვტირით პოეტის რაფიელ ერისთავის დაკარგვას, დაკარგვას იმ კაცისას, რომელიც ხალხის ნამდვილი მეგობარი და უანგარო საზოგადო მოღვაწე იყო. ხარკოვის ქართველობა.

ახალი ამბავი

*** დღეს, 28 თებერვალს, შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ს. დ. წერეთლის ინიციატივით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება პარაკლისი ბრალეულ ბერ-მონაზონ ალექსანდრეს, ბ. ალ. ალექსანდრეს ძეს, ბ. ალ. ალექსანდრეს ძეს, ბ. ალ. ალექსანდრეს ძ

ნაშვიდი მხცოვან პოეტის რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრად ამას წინად ხელ-ახლა არჩეული თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ტფილისის გუბერნატორმა საქალაქო დებულების მე-118 და 119 მუხლების ძალით არ დაამტკიცა. გუბერნატორმა დაავალა გამგეობას დანიშნოს ახალი არჩევანი გამგეობის წევრისა.

*** უმაღლესს მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ რკინის გზების დაბალ მოსამსახურეთათვის განსაკუთრებული წიგნთ-საცავები იქმნას დაარსებული.

*** რადგანაც რკინის გზებზედ ხშირად იკარგება ხოლმე მგზავრთა ნივთები, გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია გააძლიეროს ნივთების დაზღვევის საქმე. ამ აზრით სამინისტრო შეიმუშავებს ახალ წესებს, რომლებიც ბევრად გააადვილებს ნივთების დაზღვევას.

*** ამ ცოტა ხანში რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთ კრება ექმნებათ. კრებას, სხვათა შორის, ლაპარაკი ექმნება სახალხო მატარებელთა ვაგონების ელექტრონით განათების შესახებ.

*** ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს მომავალ საიუბილეო სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობა მიაღებინოს ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებლებს, სახელოსნო სასწავლებელსა და საპროფესიონალო სკოლას.

*** ოთხშაბათს, პირველ მარტისათვის, დანიშნულია კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება.

*** ახალ-ქალაქის მაზრაში მოუსავლობისაგან ყველაზედ მეტად დაზარალდა 23 სოფელი. თავისის მხრივ ის სოფლებიც სამ ჯგუფად გაიყოფებიან. სრულიად უსახსროდ არიან დარჩენილი სოფლები: ჭანდურა, დილისკა, გიუმურდა, ვაჩიანი, კორხი, ორჯა, მაჯადია, მურჯახეთი, ქილოდა, სადაც 812 კომლი სცხოვრებს (6926 სული). მე-2 ჯგუფში—კულალისი, დიდი ხოსპია, პატარა ხოსპია, პრტენა, ჩუნჩხა, აპნია, გოგაშენი, კოტულია—311 კომლი სცხოვრობს (2665 სული). მესამე ჯგუფში: არაგვა, ზაქი, ჯიგრაშენი, ტირკნა, ალდუყა, სანდო, 384 კომლი (3405 სული.) სულ დაზარალებულ სოფლებში გაჭირვებულ მდგომარეობაშია 1509 კომლი, ანუ 12996 სული ორივე სქესისა.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს ქუთაისის გუბერნიაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სადგური გააფართოვოს და დიდი ყურადღება მიქცეს შავიზღვის პირად ჩაის ბუჩქის მოშენების საქმეს.

*** კადეტთა კორპუსში შემსვლელთათვის სამხედრო უწყების შეუმუშავებია განსაკუთრებული პროგრამები და წესები. ამ პროგრამით და წესებით მიიღებენ ბავშვებს მხოლოდ ამა 1901 წელს, ხოლო 1902 წლისათვის გამოცემულ იქმნება ახალი წესები და პროგრამები.

*** ამიერკავკასიაში გზა-ტკეცილებისა და ხიდების ზედამზედველობის საქმის გასწესრიგებლად, ამიერ-კავკასიის უმაღლესს მთავრობას გუბერნიებისა და ოლქების უფროსებისაგან მოუთხოვნია შემდეგი ცნობები: რამდენი ტეხნიკოსია თვითოეულ გუბერნიისა და ოლქის საამშენებლო განყოფილებაში; ტეხნიკოსთა შტატებში თავისუფალი ვაკანსია არის თუ არა; რამდენი კონდუქტორი და კამმიჯნავი მოხელეა, რომელთაც ჯამაგირი ერობიდგან ეძლევათ და როგორ ასრულებენ ისინი თანამდებობას.

*** სოფ. ჭიათურა, (შორაპნის მაზრა). ამ დიდ მარხვის პირველს კვირას ჭიათურაში მრავალი აღმოჩნდა მსურველი ზიარებისა. ლოცვებს ასრულებდა სამსახურიდგან გამოსული მღვამა ისიდორე ვაშაძე, მაგრამ ეკკლესია არა გვაქვს, ვერც სახალი ვიშოვეთ ისეთი, რომ გვეღოცა და ბოდის აგიდობრივის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა დაგვითმო ერთის კვირით სკოლის შენობა, სადაც თითონ მასწავლებელი მოწაფეებითურთ ემზადებოდა ზიარებას. მაგრამ იმდენი მლოცველი აღმოჩნდა, რომ სკოლის შენობამ და მისმა ბალკონმა ძლივს გაჭირვებით დაიტია ხალხი.

ხვევისათვის. ყველანი ერთსა და იმავე დღეს აღიჭურვიან, ანუ იარაღს აიხსნიან. ომის გამოცხადება, ზავის დასკვნა ყველა ინდივიდუუმთაგან ერთსა და იმავე დღეს მორჩილებას გამოიწვევს. ან-და კიდევ უფრო, უცხოთა მეზობელთა შეხედულობით, ყველა ეს ინდივიდუუმნი მხოლოდ ერთს ინდივიდუუმს განსახვენ. ამგვარად, თანამედროვე მაგალითი რომ ავიღოთ, აწინდელს ევროპას შეადგენენ თორმეტნი თანასწორ ძალისა და ტანის ინდივიდუუმნი, რომელთაგანაც თითოეულივე თანასწორად პოლიტიკური არსება არის, რომელთაგანაც თითოეულივე თავისს სიმართლეს იცავს, თავისს ინტერესებს ჰმფარველობს, თავისს დიდების მოყვარეობას მისდევს, შეუძლიან ეწიოს სხვა-და-სხვა ბედსა, მაგრამ თითოეულის სახელმწიფოს მცხოვრებთაგან ყოველთვის გაზიარებულსა. ვთქვათ, ერთს წუთს საგულვებელ ჰყვეს, რომ პოლიტიკა ჰქრება კაცთა მოქმედებიდგან, კაცნი ომსა და დაპყრობას უარ-ჰყოფენ, მსოფლიო ძმობა ჰსუფევს ქვეყნად, ერთნი შოვნას აღარ გამოუდგებიან, მეორეთათვის საჭირო აღარ არის თავის დაცვა; ვთქვათ, ეს ბუნების წესის წინააღმდეგი განიგულეს, თითონ ერის აზრი მაინც არ გაჰქრება კაცობრიობიდგან.

ეს საკითხავის მხოლოდ ნახევარია. ერი მარტო პოლიტიკური ამხანაგობა-კი არ არის; იგია პოლიტიკური ორგანიზმი. ეს არის განსხვავება სახელმწიფოსა და ერს შორის. იგი ერი არ არის, რომელსაც პოლიტიკური ერთობა არა აქვს; მაგრამ პოლიტიკური ერთობა არა კმარა ერის შესადგენად. სახელმწიფო ყოველთვის არის, როცა კაცთა კრებული ერთად მოძრაობს და, გარედგან შეხედული, უცხოეთის თვალს წარმოუდგენს მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ერთობას, რომელიც ერთის გვამივით ისწრაფის თავ-დასხმას, თუ თავის-დაცვას. ერია დიახ, როდესაც ის კრებული ნამდვილად არის გამსჭვალული ერთისა და იმავე გრძნობით და გულითადაც ატარებს თავდადებისა და ენთუზიაზმის ერთსა და იმავე აზრსა.

(შემდეგი იქნება)

როგორც ვიცით, შავი ქვის მწარმოებელთა მესამე კრებამ წარსულს წელს ჭიათურაში ეკკლესიის აშენებლად ხუთასი თუმანი გადასდვა, რომელზედაც იმერეთის ეპისკოპოსმა ეოდოსიმ ნება დაჭრთო ჭიათურის საზოგადოებისა, რომ ეკკლესია აეშენებინათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამისათვის არავინ ჭზრუნავს. ის დადგენილები, რომლებიც ძალიან ბევრსა დაპარაკობდნენ და კიდეც იქადოდნენ ეკკლესიის აშენებას, დღეს მიეუჩებულნი არიან და თითქოს აღარც კი ახსოვთ.

მტირე-წლოვან ბავშვებს პური მხოლოდ მაშინ გასხსენდებათ ხოლმე, როდესაც მოჭშიოვდებათ... ამ შემთხვევაში ჭიათურის საზოგადოება ასეთ ბავშვებს წაკაკვს: როდესაც დიდმარხვა დადგა და ზიარება მოისურვეს, ეკკლესია მაშინ-და გასხსენდათ, მაგრამ გვიანდა იყო; იწყეს საუვედური და ვინ რას ამბობს და ვინ რას—არავინ იცის: თუ ეკკლესიას არ აგვიშენებენ, ერთი საამოცვალოო სახლი მაინც აგვიშენონო და სხვანი. და მართლაც საჭირო დროზედ ეურადღება მიექცეს ამ საქმესა და თუ საამოდამო ეკკლესიის ღირსნი არ გავხდებით ჯერ-ჯერობით, დროებით მაინც ააშენონ მტირე ხის შენობა საამოცვალ, თორემ ამოდენა ხალხის ასე მიტოვება ცოდვა და სირცხვილია სწორედ.

*** 25 თებერვალს ტფილისის სადგურზედ საქონლის გადმოტვირთვის დროს ყუთი დაეცა მუშას ლუკა კოპლაძეს და დაშავდა. დაშავებული რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 26 თებერვალს, საღამოს 5 საათზედ, ავლაბარში, ფერისცვალების ქუჩაზედ, ტფილისის მოქალაქის დავიდოვის 9 წლის ქალი ნავთს ასხამდა სამოვარში, უცაბედად ნავთი კაბაზედ დაისხა, მოეკიდა ცეცხლი და საბრალო საშინლად დაზიანდა. დაზიანებული ბავშვი მიხაილოვის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ქალაქის საბჭო

26 თებერვალი.

სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზედ ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის თავმჯდომარეობით. არ დასწრებია გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვი, რომლის არჩევაც არ დაამტკიცა ტფილისის გუბერნატორმა. გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა მოხსენება ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ, საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მიერ დაწესებული ნიხრი: გირ. ძროხის ხორცი—10 კ., ცხვრისა—11 კაპ. შემდეგ საბჭო შეუდგა 1901 წლის შემოსავალ-გასავლის განხილვას. როგორც მკითხველებმა უწყიან, წინა სხდომაზედ საბჭომ დაადგინა დაარსდეს გამგეობაში ახალი თანამდებობა საქმის მწარმოებლისა, ხოლო დღევანდელმა კრებამ დაადგინა ამ ახალ თანამდებობის აღმასრულებელს გამგეობის მდივანი ეწოდოს. გამგეობამ სთხოვა საბჭოს, ახალ შტატის შემოსაღებად დამატებითი თანხა იქმნას გადადებული. გამგეობა და საბჭოს კომისია დარწმუნდნენ თურმე, რომ აწ არსებული რიცხვი მოსამსახურეთა ვერ აუდის გამგეობის აუარებელ საქმეებს და საჭიროა მოუმატონ შტატს, რასაც დასჭირდება დამატებითი თანხა 38,000 მ., მაგრამ, რადგანაც კომისიას ჯერ არ შეუმუშავებია საბოლოოდ ახალ შტატის პროექტი, ამისათვის გამგეობამ მოითხოვა ჯერ ხანად მხოლოდ 14,530 მან. საბჭომ შეიწყნარა ეს თხოვნა.

გამგეობის ახალ შტატის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, ხოლო აწ არსებულ მოსამსახურეთა ჯამაგირის მოსამატებლად გამგეობა თხოულობს 1910 მან. ამ გვარად საბჭოს საქმის მწარმოებელს მიეცემა ჯამაგირად 900 მ. 700 მანეთის ნაცვლად, საბჭოს ვექილს—1500 მ., 1200-ის ნაცვლად, მის თანაშემწეს 1000 მან., 900 ნაცვლად, მთავარ ბუჰგალტერს—2200 მან. 2,100 ნაცვლად და სხვ. ამ 1901 წლისათვის ქუჩების მოსაკირწყლად გამგეობა თხოულობს 641 მან. მეტს, ვიდრე შარშან თხოულობდა. ქუჩების მოსაკირწყლად გადასადებ თანხის შესახებ კამათი გაგრძელდა და ქალაქის მოურავმა განაცხადა, გადავსდოთ ეს საგანი შემდეგისათვის, როცა უფრო დაწვრილებით იქმნება შემუშავებულიო. ქალაქის წყლის მილის შესანახად წლეულს გადადებულია 7700 მანეთით მეტი შარშანდელზედ. საბჭომ გადასწყვიტა აქედგან 1200 მან. გადადებულ იქმნას წყლის აუზის მოსამსახურეთათვის შენობის ასაგებად. საბჭომ გადასწყვიტა საზოგადო განათლების კურსებს 500 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს.

სხდომა გათავდა 12 საათზედ. დანარჩენ საქმეთა განხილვა გადიდვა შემდეგისათვის.

ხმა პროვინციიდგან

—

იყო დრო, როდესაც ჩვენი კურთხეული გორი ქება-დიდებით მეშვიდე ცამდე აჰყავდათ. დრონი იცვალნენ! ამ ჟამად გორზედ ისე არავინ რას იტყვის, რომ მისი განკიცხვა და დაწუნება არ წაუმძღვაროს წინ ამ თავისს ლაპარაკს. ჩემის აზრით კი ეს ორივე შეხედულება უკიდურესობაა და, როგორც თითქმის ყოველთვის, სიმართლე მათში კი არა, მათ შორის არის. წინადაც ჰქონდა გორს მრავალი ნაკლულევანება და ამ ჟამადაც არა ერთი და ორი ღირსება მოიპოვება მის ცხოვრებაში. მართალია, უწინდელი სიცოცხლე, ეროვნული ნიშან-წყალი აღარ ეტყობა აწინდელ გორის ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ამისათვის მარტო გორი როდია დამნაშავე. თვით ეს ქართველი საზოგადოება მეტისმეტად შემცირდა; მისი შემადგენელი განათლებული ყმაწვილ-კაცობა აქეთ-იქით გაიფანტა, სამსახურის გამო წავიდ-წამოვიდა. სხვა-და-სხვა სოფლებიდგან ჩამოსული თავად-აზნაურობა, რომელიც წინადაც ბლომად სცხოვრობდა ხოლმე გორში, ამ ჟამად სანთლით საძებნელი გამხდარა! თითქმის მთელს წელიწადს იგი თავისს ადგილ-მამულში ატარებს. და თუ გართობა, თვალის გახელა მოისურვა, ეტანება უფრო ტფილისს, ვიდრე თავისს ძველ მეგობარ გორსა. ამის გამო ყოველ დღიურ ჩვენს ცხოვრებას ძველებური მამა-პაპური ელფერი აღარ ამშვენებს. ამასთანავე უცხოეთიდამ წამოსულმა ახალგარემოებათა ნიავმა ჩვენს ქალაქსაც წამოუბერა და, როგორც თითქმის ყველაფერს, მის ცხოვრებასაც თავისი ნიშანი დასდო, დავისი ბეჭედი დაასვა.

თუმცა ყოველივე ეს ასეა, მაგრამ გორი მართლა არც ისეა ამ დაცემულ-დავარდნილი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ! ამ ბოლოს დროს მას გამოუჩნდა ისეთი მზრუნველი და მფარველი, რომელმაც სულ მცირე ხნის განმავლობაში ბევრი თვალსაჩინო სიკეთე მოჰფინა გორსა და მომავალშიც უფრო მეტ საიმედო და სასარგებლო საქმეებს უმზადებს. ამ დიდებულის კაცის ბრწყინვალე მაგალითს სხვა განათლებული ადამიანებიც ჰხედავენ და მასთან ერთად არ იშურებენ გორის საკეთილდღეოდ თავიანთ პატიოსან შრომას.

—

გორში, სხვათა შორის, ორი სასწავლებელია: საქალაქო პროგიმნაზია და საქალაქო სკოლა. ორივეში ხუთასზედ მეტი მოსწავლეა და ამ მოსწავლეთა დიდს უმრავლესობას ქართველი ბავშვები შეადგენენ. ხომ მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, რომ ამ ჩვენს დროში ქართველის სახელს ბედის ვარსკვლავივით ეკკვიატა სიღარიბე და სხვა ათასნაირი გაჭირვება. ეს დიდად შემაფერხებელი შავ-ბნელი გარემოება ამ მოსწავლეთაც ფეხ-და-ფეხ დასდევს ყველგან. სკოლებში სჩაგრავს მათს ნორჩს ქეუაგონებას, ოჯახებში ასუსტებს მათს ჯანმრთელობას, ქუჩებში წინ უხვედრებს ათასგვარ სნეულებას; გაუნათლებელ დაბალ საზოგადოებაში უწამლავს ხასიათს და ზნეობას. ვისი დალოცვილი კალამი ასწერს?.. ვისი მადლიანი ენა მოსთვლის იმ დაუსრულებელ გაჭირვებათ, რომელთაც ყოველ დღე ებრძვის პატარა ღარიბი მოსწავლე? და, ღმერთო ჩემო, რამდენი უდროოდ დაღუპული მსხვერპლი მოსჩანს ამ საზარელ ბრძოლის ველზედ!!. რამდენს მოუბრუნებია ჩვენსკენ თავიანთი დატანჯული, გამხდარ-გაყვითლებული სახე, რომელზედაც ცხადად არის აღბეჭდილი უნუგეშო სევდა-ვარამი, თხოვნა-მუდარება და, ამათთან ერთად, საშინელი კიცხვა-საყვედური შეგნებულის საზოგადოებისადმი!.. ხოლო ეს შეგნებული საზოგადოება ხშირად თავს იბრმავებს განზრახ: თვალებსა ჰხუჭავს, პირს არიდებს, რათა ჩამოიცალოს წინიდგან სინიდისის დამწველი სურათი. უხეიროდ, უგუნურად, ხარჯავს და აბნევს ფულებს ათასნაირ უაზრო სადილ ვახშვებსა, ქალალდის თამაშობასა და ბალღურ ჩხირკედელაობაში. ყველა ამისათვის არაფერს არ იშურებს, არაფერს არა ჰზოგავს, მაგრამ როცა საქმე მოზარდის თაობის შემწეობაზედ მიდგება, მაშინ მის ხელგაშლილობას უეცრივ ჰბოჭამს რაღაც ბოროტი ძალა და, შემწეობა-დახმარების ნაცვლად, ან გულგრილათ სდგება განზედ ან ჩუმის, თუ ცხადის უკულმართის მოქმედებით ხელს უცარავს იმათაც, ვისაც უკისრნია მადლიანი საქმე შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარებისა. მაგრამ მჯერა და მწამს, რომ ესეთი უკულმართობა წარსულიდგან დარჩენილი აწმყოს უდღეური შვილია!.. რომ იგი ვერ შეაფერხებს მათ, რომელთაც თავიანთ ნათელი სული და გული ბრწყინვალე მომავალისკენ მიუქცევიათ; ვერ შეაჩერებს იმ მადლის ნაკადულს, რომელიც იზრდება დღითიდღე; რომელიც ერთ დროს უხვად მოეფინება მთლად დედამიწის ზურგს და ტურფად აყვავებს ძმობას, ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ობასა და ბედნიერებას... იმედი, ...ედი, ჩემო ბატონო!.. ეს ის წმი...და ბეთლემის ვარსკვლავია, რომელ...მც ერთ დროს შუაღამის წყვდიადი ...ღესავით გაანათა და უბრალო, ...ბადრუკი მწყემსები ქვეყნის მხსნელთან მიიყვანა!!.

—

ამ თებერვლის პირველ რიცხვებში ზემოხსენებულ სასწავლებელთა ...ლარიბის მოსწავლეების სასარგებლოდ საღამო იქმნა გამართული. ამ საღამოს გამგეთ ჰბძანდებოდნენ ორი ცნობილი მანდილოსანი: კნ. მაკრინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბისა და ნინა დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა. როგორც პირველი, ისე მეორე დიდი ხანია, რაც ამ კაცთ მოყვარულ, ქრისტიანულ გზას აღგანან... ძნელია კაცმა მოიგონოს და სათითაოდ ჩამოსთვალოს რაოდენი კეთილი საქმე ჩაუდენიათ, საბედნიეროთ, ჯერ კიდევ არა ხანგრძლივ, თავიანთ სიცოცხლეში ამ პატივცემულ მანდილოსანთ! სჩანს ამ განათლებულ ადამიანთ ცხადად დაუნახავთ, სადაც სცემს ჩვენის აწმყო და მომავალის ცხოვრების მაჯა. აზრი თვისი საზოგადო მოქმედებისა გაუთვალისწინებიათ და შეძლებისა დაგვარად გულწმიდად ემსახურებიან. როგორც არა ერთხელ წინა წლებში, ისე დღესაც ამათ იკისრეს საღამოს გამართვა. ადგილობრივ შეადგინეს მომღერალთა გუნდი; ტფილისიდგან მოიწვიეს ყველასაგან ცნობილი ნიჭიერი მოღვაწე სამშობლო სცენისა ნატალია გაბუნია-ცაგარლისა. მოიწვიეს აგრეთვე თ. იოსებ ბარათაშვილი, საუცხოვო დამკვრელი თარისა და ჩინებული მომღერალი. ამ ორმა ნიჭიერმა ქართველმა თავიანთ ელფერი დასდეს მთელს საღამოს. მათმა დაკვრამა და სიმღერამ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. კვლავაც ბევრჯელ გამიგონია სიმღერა გაბუნიასი, მაგრამ ისეთის აღგზნებულის გრძნობითა და სანარნარო კილოთი მომღერალი მხოლოდ ამ საღამოზედ ვნახე. ეჭვი არ უნდა, ეს სიცოცხლე გრძნობისა და ეშხი კილოსი სამშობლო მიწა-წყალმა შთაბერა მის სულსა. და ამის გამო მადლიერმა საზოგადოებამაც უხვად დაასაჩუქრა თავისი ნიჭიერი შვილი ქება-დიდებითა და გულწრფელის აღტაცებითა. დიდის სიამოვნებით მიეგება გორელი საზოგადოება პატივცემულ ბარათაშვილსაც. არც შეიძლება, რომ კაცს ესმოდეს მისი ძლიერი, ლამაზად გაწვრთნილი ხმა, მისი საუცხოვო დაკვრა თარისა და აღტაცებაში არ მოვიდეს. დაუმატეთ ყველა ამას ცოცხალი ევროპიული ცეკვა; ჩვენებური, ეშხითა და სინარნარით სავსე, ლეკური და მაშინ ცხადი იქმნება ის სიამოვნება, რომლითაც დამსწრე საზოგადოება სტკბებოდა თითქმის მთელის ღამის განმავლობაში. ღარიბ მოსწავლეთაც კარგი საჩუქარი ერგოთ ამ ღამეს, სრული შემოსავალი იყო 359 მან. და 40 კაპ. აქედგან დაიხარჯა 133 მან. და 24 კაპ., დარჩა 226 მან. და 16 კაპ. ფული თანაბრად გაყოფილი უკვე გარდაეცა ზემო-მოხსენებულ ორ სასწავლებელს.

პროვინციელი

ᲔᲜᲐ

(მცირე შენიშნვა).

ამ ბოდო ხანს ჩვენს საზოგადოებაში მასლაათის დროს და გაზეთებშიაც შეხვდებით სამდურავს ქართულის ენის შებღალვისა გამო. თუ საქმეს ჩავუკვირდებით, ამ სამდურავს საფუძველს ვუპოვით. უგელა ჩვენგანს სწავლა მიუღია უცხო ენის მეოხებით, უცხო ენაზედ დაწერილს წიგნებით გვევარჯიშებია უფლას ჩვენი გონება და, უეჭველია, ამ გარემოებას ის შედეგი მოჰყვებოდა, რასაც ვხედავთ.

ეს არაა საკვირველი, არამედ ისა, ქართულად ვფიქრობდეთ და ქართულად ისე ვწერდეთ... მაინც და მაინც როგორც ჭქუხს, ისეც არა სწვიმს. ჩვენი გამოჩენილი და გამოუჩენელი მწერლები ერთობლივ უცხო მწერლობით არიან ნაკვებნი, მაგრამ უველასთვის ერთნაირად საზარალო არა ეოფილა ეს ამბავი: ზოგისთვის ძალიან დრმად დაუსვამს დალი, მეორისთვის ნაკლებად... ამიტომ არ შეგვიძლიან უველა ჩვენს მწერლებს ენის უცოდინარობა ვუკიჟინოთ. თუმცა ისეთი მწერლებიც გვეპოვება, რომ ორმოცი წელია, ჭმოდვაწელიენ, ორმოცი წელია, რაც სწერენ ქართულად და დღეს აქამომდე ვერ მიუგნიათ ქართულის ენისათვის.

რას ჭქვიან ენის ცოდნა? რასაკვირველია, არა კმარა მხოლოდ სიტუვები ვიცოდეთ, თუნდ მთელი ქართული დექსიონი, უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევუთანხმოთ ეს სიტუვები ერთი მეორეს და წინადადება როგორ ვაგაშენოთ. ამისთვის საჭირო ენის სულისა და გულის შეგნება; ამ შეგნებისთვის-კი საჭირო ის დარსება და მადლი, რომ თვით მწერალს უცემდეს ქართულად გული და მაჯა. ამისთანანები სიტუვა-კაზმულ ნაწარმოების ავტორთა შორის უნდა ვეძიოთ. უსათუოდ საუკეთესო მგოსანი საუკეთესო ენის მცოდნეც უნდა მივიდოთ. რისთვის? მისთვის, რომ ერი უპირველეს უოველისა დედაა ენისა, ხოდო საუკეთესო მგოსანი, როგორც თვით ენა, ღვიძლი შვილია მისივე და არავინაც არ არის თავისს მშობელთან ისე დაახლოებული, როგორც ის, ვისაც შეუთვისებია მშობლის სისხლი და ხორცი. მწერლის ნიჭის მიხედვით რომ ვაფასებდეთ მისს ენას, მაშინ უველა ჩვენგანი არ წამოაყენებდა საკუთარს ენას მისაბაძად საგნად.

თქვენს უმორჩილესს მოგნას, ამ წერილის ავტორს, ხშირად კამეგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამდურავი—დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოკავს მწერლობაშიო. რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გავიტანოთ და სანაგვეზედ გადავაგდოთო. უველას თავისი გემოვნება აქვს, საკუთარი ფიქრი და აზრი და მეც ჩემი, რასაკვირველია. ამისთანა სამდურავი, რა თქმა უნდა, უმეტრების ბრალია და, ხომ მოგეხსენებათ, უმეტრებისაგით თამამი არა იქნება რა.

არა მგონია შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა. რითი ჭკვავს ენა მდინარეს? იმითი, რომ, რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მაუდია, თუ ხელოვნურად არ მოსტეტე, არ წაართვი, იგი თავისდათავად არასოდეს არ დაჭკარკვავს; მიმდინარეობს იმ ყამით ამ ყამამდე დაუდგრომელად, მისი შეჩერება, დაგუბება ცოტა ხნობით თუ შეიძლება, ხოდო სამუდამოდ-კი არასოდეს...

დიდ, მოდის ენაც მდინარესავით, მაგრამ თუ სათვგეში, ე. ი. იქ, სიდანაც იბადება, არ დაშრა, ქვეით, ბოდოდგან მისი დაშრეტა უოველად შეუძლებელია და ძალაც მისი სწორედ რომ სათავეშია: გამოიმდინარებს უდუველად, უკლებლად. სიიდგან და როგორ იკრებს ამ ძალას, ჩვენთვის სულ ერთია. ენის საქმეც სწორედ ასეა. ქართული ენა გუშინ მოგონილი ხომ არ არის! იგი ძალიან დიდის ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებული გაუკეთია. რაც ხასიათი და თვისება დაჰბოდია, იგივე შეჭრჩება საზოგადოდ, საუკუნოდ. თუ ზოგიერთების ხელში იგი თავისს ხასიათს ვერ იჩენს, ეს იმათი ბრალია, ვინც მას ამღვრევს უწმინდურებისა და ნაკვა-ნუკვის ჩაურით. ვისაც ჭსურს ამ მდინარის წყალი იგემოს და დაათვალოს იგი, ბოდოში, სადაც მდვრივე მოდის, კი არ ამოჭკრეფს, არამედ სათავეს მიჭმართავს. სათავე ენისა, ვგონებ, უველამ კარგად იცის, სად არის, ან რა არის... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაკალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა—შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, კაურუენელის ენით მოსაუბრედ კიდევ მთიელნი, რომლებთანაც მე მაქვს დამოკიდებულება და ამ კ'კიცხულს ფორმებსაც იმათგან ვიძენ. ნუ გგონიათ ფორმებს ვთხზავდე, ღმერთმა დამიფაროს! რა არის აქ საწყინო? შემოტანა მრავალის ფორმებისა, თუ კი სადმე მოგვეპოვება, კი ნიშანი მგონია, ხოდო ფორმების კატანა და შემცირება—ერის კადაბვად, შეურაცხყოფად, დამცირებად მიმაჩნია.

ვაჟა-ფშაველა

რუსეთი

—

— როგორც სამთო დეპარტამენტის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, 1900 წელს მთელს რუსეთში სხვა დასხვა ოქრო მადნებიდგან ამოღებით სულ 2,332 ფუთი ⅓ 30 გირვანქა ოქრო.

— საერო განათლების მინისტრის ნება-რთვით სარეოვის ვაჟთა გიმნაზიაში ფრანგულის ენის მასწავლებლებად ქალები მოუწვევით.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში ამას წინად შემდგარა განსაკუთრებული კომისია. აზრად აქვთ დასავლეთ გუბერნიაში გადაკეთონ ის დაწესებულებანი, რომელნიც საერობო მეურნეობას განაგებენ, და კომისიაც ამ საქმისათვის შემდგარა.

— აზრად აქვთ „საზოგადოება რუსეთში მგზავრობის გასაადვილებლად“. შუამდგომლობა ამის შესახებ უკვე აღუძრავთ გზათა სამინისტროს წინაშე.

— როგორც „Прав. Вѣст.“-ში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, 1900 წელს მთელს რუსეთში, სტასტო ქალაქების გარდა, რუსულს ენაზედ 427 დრო-გამოშვებითი გამოცემა იბეჭდებოდა. სტასტო ქალაქების გარდა უველაზედ მეტი დრო-გამოშვებითი გამოცემა რუსულს ენაზედ ეოფილა კიევში—28, შემდეგ ოდესაში—22, ხარკოვში—15, კაზანსა და ვარშავაში—თითხმეტ თითხმეტი, ტფილისსა და რიგაში—თორმეტ-თორმეტი, ვილნასა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, სარატოვსა და ტომსკში—რვა რვა, ბაქოსა და იარუსლავში—შვიდ-შვიდი, ვორონეჟსა, ირკუტსკსა, დონის როსტოვსა, კურსკსა და ეკატერინოსლავში—ექვს-ექვსი. სხვა გამოცემანი ამ რიგადაა განაწილებული; ხუთ-ხუთი გამოდის რვა ადგილას,

4	გამოცემა . .	13 ადგილას,
3	„ . . .	19 „
2	„ . . .	15 „
1	„ . . .	55 „

სულ სტასტო ქალაქებს გარდა ბრეოვინციაში იბეჭდება დრო-გამოშვებითი გამოცემანი 128 ადგილას, აქედგან 125 ქალაქია და 3 სოფელი. 1897 წლის აღწერილობით ამ ქალაქთაგან 117 ქალაქი მცხოვრებთა რაოდენობით ასეა განაწილებული:

100 ათას მცხოვრებზედ მეტი			17 ქალაქია
51-დგან	99-მდე	.	28 „
41—	50 „	.	14 „
31—	40 „	.	9 „
21—	30 „	.	27 „
11—	20 „	.	16 „
1—	10 „	.	8 „

უველა ამ ქალაქში, სადაც 100 ათასი და მეტი მცხოვრებია, არსებობს დრო-გამოშვებითი გამოცემა, ერთად ერთი დიდი ქალაქია—ტფილა, სადაც არ არის კერძო გამოცემა. 34 ქალაქ შორის, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 51—100 ათასამდეა, ექვსში არავითარი გამოცემა არ მოიპოვება, არც სახელმწიფო და არც კერძო, ხოდო 17-ში კერძო გამოცემაა. 56 ქალაქიდგან, სადაც 21—40 ათასამდე მცხოვრებია, 20-ში არავითარი გამოცემა არ არის.

427 გამოცემიდგან კერძო კუნი სცემენ მხოდოდ 197-ს, დანარჩენ გამოცემებს ჰეეჭდავენ ან სახელმწიფო დაწესებულებანი, ერობანი, ან ქალაქები და ან კიდევ სამეცნიერო საზოგადოებანი. კერძო გამოცემანი იბეჭდება მხოლოდ 87 ქალაქში. უმრავლესობას ამ გამოცემათაგან გაზეთები შეადგენენ; ამ გაზეთთაგან კიდევ ბევრს განცხადებათა და ცნობათა ფურცლების ხასიათი აქვთ, ასე რომ გაზეთებად ვერც კი ჩაითვლებიან. კერძო გამოცემა, რომელსაც დიტერატურული ხასიათი აქვს, ბრეოვინციაში მხოლოდ 49 იბეჭდება. კერძო გამოცემათაგან 2 დარსებულ იქმნა ბატონ უმობის გადავარდნამდე, 27 მე-70 წლებში, დანარჩენი—ამ უკანასკნელ 20 წელს.

უცხოეთი

სპარსეთი. გაზ. „Times“-ის ბოლო კორრესპონდენტი სწერს: როგორც თეირანიდგან იუწყებიან, რუსეთი ამ ყამად სპარსეთსა და სპარსეთის სრუტეში დიდს მოქმედებას თურმე იჩენს. რადგანაც რუსეთის ვაჭრობამ სპარსეთში ფეხი დრმად მოიკიდა, ავსტრ უნგრეთის სავაჭრო ასოციაციის აგენტის მიერ თეირანიდგან მიღებულს ცნობებს ამის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ანკარიში იმითი იწყება, რომ სპარსეთის უკან ჩამორჩენა, მიუხედავად ბუნებრივის სიმდიდრისა და მადლის ნიჭისა, აიხსნება მხოლოდ იმითი, რომ სპარსელებს არავითარი ცოდნა არა აქვთ და ეკონომიურის პროგრესისათვის კანონიერად დადგენილი გონიერული ნიადაგი არ მოუპოვებთ. მრეწველობაცა და ვაჭრობაც მთავრობის წარმომადგენელ მოხელეთა ქეიფზეა დამოკიდებული და ესენი ათეურხებენ უველაფერშიო. როგორც მაგალითი ასეთის უეურადღებობისა, კორრესპონდენტს მოჰყავს ის კარგმოება, რომ რებტისა და თეირანს შუა გზის პირად მდიდარი [illegible] ადმოაჩინეს თურმე, მაგრამ შემუშავებით-კი ვერ შეუმუშავებიათ, თუმცა აქედგან სულ ერთის დღის სავალზედ ქვანახშირის მადარეობაა. არც ამ ქვანახშირს ამუშავებენ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მადარეობში წყალი ადმოჩენილა ვითომ. თეირანისავე მახლობლად მდიდარი მარილის თხრილებია, მაგრამ ეს მარილი ახლა ვირებით კადაქვთ, რომ დებსაც 55—70 კილოზედ მეტის აკიდება არ შეუძლიანთ და ეს კარგობა-კი მარილს ძალიერ აძვირებს და ფასიც მუდამ ერთი და იგივე არა აქვს, რადგანაც მარილის მზიდველთა ქეიფსა და სურვილზეა დამოკიდებული და თვალ-ეურს არავინ ადევნებსო. ეჭვი არ არის, რკინის გზა უველა ამ სიმდიდრეს სხვა ფასს დასდებდა, გზას გაუხსნიდა და ნატიონალურ სიმდიდრეს ერთი ათად და ასად აქცევდა. მაგრამ სპარსეთის მთავრობა ამ გვარს განკარგებასა და გეგმებს არავითარს ეურადღებას არ აქცევს, უცხოელი ფულის პატრონნი კიდევ ადგილობრივ მოხელეთაგან ხელ-ფეხ შეკრულნი არიან

რებტსა და თეირანს შუა რუსეთის ამხანაგობის მიერ გაეკეთებულ რკინის გზას არავითარი ფასი არა აქვს, რადგანაც ამ მხარეზედ ვაჭრობის შესახებ რუსეთს არავითარი ხელშეკრულობა და ბირობები არა აქვს. ევროპის ვაჭრები იძულებულნი არიან გზა ერთი ათად გაიგრძელონ და ხარჯიც ამდენივე მეტი გასწიონ და ტრანზიტონსა, ბუშირსა, ბაღდადსა, მაჩაბერსა და სხ. ქალაქებზედ ატარონ ქარავნით საქონელი, რასაც სულ ცოტა 4—6 თვემდის დრო სჭირდება. 2½ გირვანქა საქონლის გადატანა 75 კაპ. ჯდება. ეჭვი არ არის, უცხოელთა სავაჭროსა და წარმოებას და აგრეთვე ადგილობრივსაც, გარეთ გასატანს, გზა გაეხსნებოდა, რომ შუაში ბოდიტიკა არ იყოს ჩაჩხირული. ბუშირში რომ რკინის გზა ან გზა-ტკეცილი იყოს გაეკეთებული, ეს სწორედ ქვეყანას იხსნიდა, მაგრამ სად არის. დიდად გასაჭირი-კი, მაგრამ ეს ახალი გზა, ეჭვი არ არის, მთელს უცხოეთის ვაჭრობას მონობიდან გაუხსნიდა, გარდა რუსეთისასა.

ამტკიცებს-რა იმას, რომ სპარსეთში რკინის გზის გაკეთება უცხოეთის ვაჭრობას დიდს სარგებლობას მოუტანდა, კორრესპონდენტი ამის მაკალითს რებტ-თეირანის რკინის გზასა და რუსეთის ვაჭრობაში უჩვენებს.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

პარიეში დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკია იმის შესახებ, რომ დარბაზობის, დღესასწაულების და საერთოდ, საზოგადოებაში გასვლის დროს ფრაკის მაგიერ სერთუკი იხმარონ ხოლმე მამა-კაცებმა. ბევრი თანაუგრძნობს ამ აზრს და აცხადებს თურმე, რომ სერთუკი ბევრად შნოიანი და პრაქტიკული ჩასაცმელია, ვიდრე ფრაკი. ამას წინად პარიეში ჯვარი დაიწერა საფრანგეთის პალატის პრეზიდენტმა დეშანელმა. პრეზიდენტი ჯვარის დასაწერად ეკლესიაში სერთუკით მისულა, და არა ფრაკით, როგორც დღემდის წესადაა მიღებული. ლაპარაკიც ამის გამო დაუწყვიათ სერთუკისა და ფრაკის უპირატესობის შესახებ.

* * *

ძნელი გამოსაანგარიშებელია, თუ რაოდენი სიმდიდრეა შენახული მეფეთა სასახლეებსა და სალაროებში. მარტო ვინძორის სასახლის ორს ოთახში—20 მილიონ მანეთის ოქროსა და ვერცხლის ნივთებია, რომელიც ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ თავისს შვილს მეფე ედუარდს დაუტოვა. ამ ოთახშივე ერთი სასადილო სერვი-

ზია, რომელსაც 7 მილიონ მანეთად აფასებენ. ფაიფურის ნივთები დედოფალს $2^1/_2$ მილიონ მანეთისა ჰქონდა. სხვათა შორის დედოფალმა დასტოვა ერთი მეტად ძვირფასი ნივთი—გლობუსი. ამ გლობუსზედ სახელმწიფოები, კუნძულები, მდინარეები, ქალაქები დანიშნულია ბრილიანტებით, იაგუნდებით, ლალებით და სხვა ძვირფასი ქვებით. გლობუსს 10 მილიონ მანეთად აფასებენ. დედოფალსავე დარჩა ერთი პატარა ყუთი, რომელიც მარგალიტებითაა სავსე. მთელ თავისს სიცოცხლეში აქუჩებდა დედოფალი ამ მარგალიტებს და ყუთში ინახავდა რა ღირს ეს ყუთი, არავინ არ იცის; თვით დედოფალმაც არ იცოდა.

სპარსეთის შაჰის სიმდიდრე კარგა ხანია საზღაპრო ამბად გარდაიქცა. ამ სიმდიდრის აღწერას მთელი წიგნები დასჭირდება. შაჰს მრავალი ძვირფასი ქვები აქვს მთელის საუკუნოების განმავლობაში შეკრებილი. ამას გარდა შაჰის სასახლეებში უთვალავი გვირგვინებია, ხმლები, თოფები და სხვა იარაღი მეტად ძვირფასის ქვებით შემკული.

დიდძალი სიმდიდრეა შეკრებილი აგრეთვე მოსკოვის კრემლში. ერთი რუსული გაზეთი სწერს: კრემლში შეკრებილ სიმდიდრის გასყიდვა რომ განიზრახონ, იმის შესაძენად საკმაო არ იქმნება ინგლისის იმპერიის ერთი წლის შემოსავალიო. მკითხველი ადვილად მიჰხვდება, რა დიდი შემოსავალი უნდა ჰქონდეს ინგლისის უზარმაზარ იმპერიას, თუ მხედველობაში მიიღებს, რომ ეს სახელმწიფო 350 მილიონ მცხოვრებს შეიცავს.

სიმდიდრით არც ოსმალეთის სულთანი ჩამოჰრჩება სხვას. ინდოელ რაჯებსაც-კი (მთავრებს) თავიანთ სასახლეებში დიდძალი სიმდიდრე აქვთ შენახული. ბაროდის რაჯის, მაგალითად, მარტო ძვირფასი ქვები 25 მილიონ მანეთისა აქვს. ამ რაჯის ერთი ხალიჩა აქვს ბრილიანტებითა და ლალებით შემკული. ეს ხალიჯა 3 მილიონ მანეთადა ჰღირს.

* * *

ვინც ზღვაზედ არა ყოფილა, იმას სასწაული არ უნახავსო, ამბობს ერთი რუსული ანდაზა, და მართალიც არის. ბევრ სასწაულსა ჰნახავს კაცი ზღვაზედ, განსაკუთრებით ძლიერ ღელვის დროს, როდესაც აბობოქრებულ ზღვაზედ ტალღა-ტალღას ახტება. ხანდისხან მთელი გორები დადგება ხოლმე ტალღისა. დღემდე არსად გამოუკვლებიათ ტალღების, ამ ზღვის გორების, სიმაღლე. მხოლოდ ამას წინად ერთ ფრანგულ გემიდგან შესდგომიან ამ საქმეს ინდოეთის ოკეანეში, წმ. პავლესა და ამსტერდამის კუნძულების მახლობლად. აქამდე ეგონათ, რომ ტალღა ღელვის დროს მეტად დიდ სიმაღლეზედ იწევს ზევით, ოც-ოცდაათ საჟენამდე ადისო, მაგრამ ახალმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ტალღა 5 საჟენზედ მაღლა იშვიათად იწევს. სიგრძე-კი ზღვის „გორას“ დიდი აქვს; ხან ასეთი „გორა“ 80—100 საჟენზეა გაჭიმული ხოლმე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 თებერვალი

პეტერბურგი. 26 თებერვალს, ღვთივ განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე III-ს დაბადების დღეს, პეტრეპავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალნი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდნი მთავრინანი და მთავარნი.

საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „ტემპერატურა საღამოთი ჰქონდა 39,7, დილით—39,4, შუადღისას ტემპერატურა 38-მდე ჩამოვიდა; მაჯა—92, სუნთქვა—16.

გამოკვლევის დროს აღმოაჩინეს, რომ სასულეს მარჯვენა ნახევრის ზემო ნაწილში ცვლილებანი მომხდარა“.

პეკინი. ლიხუნგჩანგი ძალიან არის ავად. მკურნალი ამბობს, რომ იმისი სიცოცხლე ბეწვზედა ჰკიდიაო.

ბერლინი. ჭრილობა ისე ჩქარა ურჩება იმპერატორს, რომ დილით იმპერატორს შეეძლო სამუშაო კაბინეტში გასვლა.

პეკინი. ამერიკის ელჩი კონჯერი დილით პეკინიდგან წავიდა. ელჩი ექვსის თვით სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა.

გლუმფონტენი. უკანასკნელად მიღებულ ცნობებით, დეეეტი ჩრდილოეთისკენ განაგრძობს გზას იმ აზრით, რომ რკინის გზას გადავიდეს აღმოსავლეთით. იგი ამ ჟამად უთუოდ კრონშტადტის სამხრეთითაა სადმე. ბლუმფონტენსა, ბრანფონტენსა და კრონშტადტში ინგლისელებს მრავალნი ისეთნი მიემხრნენ, რომელნიც წინად ინგლისის წინააღმდეგნი იყვნენ.

27 თებერვალი

ლორენცო-მარკეზი. ბოტა მზად არის დაემორჩილოს ინგლისელებს; მან მოითხოვა მხოლოდ დროებით ზავის ჩამოგდება, რათა დეეეტს მოელაპარაკოს. ჰფიქრობენ, ბოტა დაემორჩილება ინგლისელებს მაშანაკი, დეეეტმა უარი რომ განაცხადოს. რკინის გზა ლორენცო-მარკეზესა და პრეტორიის შუა თავისუფალია ბურებისაგან; რადგანაც მათ თოფ წამალი არა აქვთ, მიწაში ჩაფლეს არამც თუ დიდი ზარბაზნები, მსწრაფლ-მსროლელი იარაღიც-კი.

კაპშტადტი. შავი-ჭირი ძლიერ ვრცელდება. დღეს 14 კაცი გახდა ავად; 97 კაცი მკურნალების ზედამხედაობის ქვეშ იმყოფებიან: ჭირი შეძლებულთა შორისაც ვრცელდება. ერთი ევროპიელი მთელის ოჯახით საავადმყოფოში გადაიყვანეს; ევროპიელთა შორის სხვებიც არიან ავად შავის-ჭირით.

ლონდონი. რადგანაც ჰფიქრობენ, რომ მთავრობა შაქრის ბაჟს 5 გირვანქა სტერლინგამდე მოუმატებსო (ერთ ტონზედ), გერმანიიდგან, საფრანგეთიდგან, ავსტრიიდგან, ბელგიიდგან და რუსეთიდგან ათას ტონობით შემოაქვთ ჭარხლის შაქარი.

ლონდონი. საზოგადოებაია პალიატა. სამხედრო ბიუჯეტის შესახებ კამათის დროს დუგლასი შეეხო საქმეს გენერალ კოლვილლისას, რომელსაც გიბრალტარში მთავარ სარდლობა ჩამოერთვა; ამისი მიზეზი გენერალის ყოფა-ქცევა იყო სამხრეთ-აფრიკაში, სანნასპოსტსა და ლინდლეისთან. ორატორმა წინადადება შეიტანა, ახალი გამოძიება იქმნას მომხდარი. ბროდრიკმა არ შეიწყნარა ეს წინადადება და სასტიკად შეეხო კოლვილის ყოფა-ქცევას სანნასპორტთან, სადაც მან ნება მისცა მტერს წაერთმია ზარბაზნები. მინისტრი ბრალად იმასა სდებს, რომ მან არ გაანთავისუფლა ლინდლეიში იომანრი. რობერტსმა აცნობა რომ კოლვილმა ორჯელ ვერ ამოიჩინა წინდახედულობაო; იგი დასთანხმდა, რომ კოლვილი სამხრეთ-აფრიკიდგან, გაეწვიათ შემდეგ კამათი გადადებულ იქმნა.

წერილი რედაქციის მიმართ

დაიბეჭდა თუ არა ჩემი წერილი („ივერია“ № 261 1900 წ.), შეიქნა თელავში ერთი განგაში და ძიება: „ვინ არის ჩვენი ყელის გამომჭრელი, რომ ქვეყანას მოჰფინა ჩვენი ავი და ნაკლიო“, და ვის არ დაადეს ხელი: ეს „ცისკარაშვილიო“, „ბუნიათაშვილიო“, „შიუკაშვილიო“ დ სხვა. წყევლ-კრულვით გულ-ნაჯერებმა ქალბატონებმა ირჩიეს ერთი ქალი თავიანთ ვექილად და ბეჩავი და დაჩაგრული ლოტოს მოსარჩლედ (რომლის თამაშობის დროსაც ისე მშვენივრად აქვთ დაცული სიწმინდე ქართულის ენისა, რომ მარტო ამისთვის ეკუთვნით თელაველ ქალებს „უკვდავის მოღვაწის სახელი“). ამ ქალბატონმაც იკისრა თელაველ ქალთა ვექილობა და აი რას: ჰბრძანებს (იხ. „ცნ. ფურც.“ 1343 №-რი):

„თქვენ თითონ გვითხარით, თუ ვაჟკაცი ხართ, რა არის მიზეზი ჩვენის უსაქმურობისა და რა დამოკიდებული და დამოუკიდებელი მიზეზები გვიშლის ხელსაო“. მოგახსენებთ: მიზეზი გახლავთ ოთხი რამა ა) მშობლიურ ნიადაგიდგან ფეხისა და გულის ასხლეტა; ბ) საზოგადო საქმეში უგულობა, სიზარმაცე და უთაურობა; გ) თქვენი გულის ვნებისა და კერძო თავ-მოყვარეობის ყოველგან და ყოველისფერზედ მაღლა წამოსკუპება და დ) თქვენი დაკნინება, ერთი მეორეს საქმეში მიუდგომლობა და მიუნდობლობა.

ეს გახლავთ თქვენი „დამოკიდებული და დამოუკიდებელი მიზეზები“ და მეტი არაფერი, თორემ ერთის ძალით თავ-გამოდებულად თუ იშრომებთ, მაშინ ყოველივე „ხილული და არა ხილული“ მიზეზი დაძლეულ იქმნება. ქ-ნი „თელაველი ქალი“ გვემუქრის (იხ. „ცნობის ფურც.“ 19 თებ. 1386 №-ი), გინდა თუ არა გვიპასუხე, „თორემ თქვენი სიჩუმე სრული ჩვენი აზრისა და მოქმედების თანხმობა იქნებაო“.

ვაი თუ აგრე სტყუვდებით სხვა საქმეშიაც... თქვენ რომ მცირეოდნად დაფიქრებულიყავით, ჩვენი სიჩუმე თანხმობის ნიშნად კი არ მოგეჩვენებოდათ, არამედ მიხვდებოდით, რომ თქვენი „პასუხი“ პასუხს აღარ საჭიროებდა, რადგანაც პოშლიოპკინის ცოლივით თქვენ თითონ გაიმათრახეთ თავი თქვენისავე პასუხით...

წინადაც ვამბობდით და ახლაც მოგახსენებთ, საზოგადოდ კახეთი და კერძოდ თელავის მაზრა ბოღაზია მატყლისა და აბრეშუმეულისა. აქვე ნასყიდს და ხუთ-ექვსს ჩარჩის ხელში გამოვლილ მატყლს ჰყიდულობენ იმერეთში ერთი-ხუთ ფასად იმერელი ქალები, და თითქმის ყოველს ოჯახში საქსლეებს ატკაცუნებენ, შალ-აბრეშუმის ნაწარმოებით ქვეყანა მოჰფინეს და დიდ ქარხნებსაც-კი ცილობას უწევენ კარგის ნახელაობით და სიიაფით. კახეთში კი შალ-აბრეშუმეულის ქსოვა და წარმოება არსად არ გახლავთ. მე მგონია, არავითარი „დამოკიდებული“ და „დამოუკიდებელი“ მიზეზი ხელს არ შეგიშლიდათ, რომ ცხოვრებაში გამოუსადეგარ ხელ-საქმის შესწავლის ნაცვლად გესწავლათ თითონ და შეგესწავლებინათ მოზარდისა და მოზრდილის ქალებისათვის რთვა-ძახვა, ქსელვა და ქსოვა შალეულობისა და აბრეშუმეულობისა' რომლითაც, გარწმუნებთ, დიდს სარგებლობას მოუტანდით ქვეყანას. აბა ნახეთ, რა ნაირი წარმოება არის ამ დარგებისა იმერეთში და, თუ თქვენ არა გაქვთ ამისი საშუალება, სხვისაგან იკითხეთ და დაგარწმუნებენ, რომ არა თუ საზოგადოებანი, არამედ კერძო კაცებიც-კი უსასყიდლოდ ურიგებდნენ სოფლის მცხოვრებთ როგორც აბრეშუმის თესლს, ისე საქსლეებს და სხვა მოწყობილობას. ამ გვარის დაუღალავისა და თავ-გამოდებულის შრომით ააღორძინეს და განავითარეს იმერეთში ამ დარგთა წარმოება და ჩანერგეს ხალხში დიადი სურვილი და ხალისი შრომის-მოყვარეობისა. ესენი გახლდნენ ხალხისა და ქვეყნისათვის გულშემატკივარნი შეგნებული ქალნი და კაცნი და თქვენც, ქალბატონო, და თქვენს რწმუნებულებსაც რომ მოგენდომებინათ, ადვილად შეგეძლოთ აგეხმაურებინათ მთელს გალმა-გამოღმა სოფლებში დგიმ-სავარცხელის ჩახა-ჩუხი და წინ წაგეწიათ ქონებრივად მთელი კახეთი. მაგრამ ამას ხომ გული უნდა და ერთობა, რომელიც ყოვლის შემძლე და დამძლევია?! და სად გახლავთ?!.

უკეთესის საშუალების უქონლობის გამო ლოტოს ვთამაშობთ, ეს უხეირო, მაგრამ მაინც უმანკო საშუალებაა ხმარებული ქალთა უმრავლესობის თავის მოყრისათვისაო, ბრძანებთ, და განა არ შეგეძლოთ თელაველ ქალებს კვირაში თითოჯერ თუნდა შინაური სალიტერატურო სალამოები გაგემართათ და ზედ-მიწევნით გაგეცნოთ და შეგესწავლათ ჩვენი მწერლები, ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მისი ავ-კარგი?

მაშინ ნახავდით, რამდენ გაცხარებულს სჯა-ბაასს გამოიწვევდა ამ გვარი სალამოები და რამდენ სარგებლობას მოგიტანდათ. მაგრამ არა გვგონია, ჩვენი რჩევა დაიჯეროთ და თქვენ სათაყვანო ლოტოს ჩამოეხსნათ. ამის საბუთს ის უფრო გვაძლევს, რომ თქვენ თქვენი „უსამართლო-სიმართლის“ დასამტკიცებლად და რაღაცა წვრილმან თა-მოყვარეობის გამო ცილი შევსწამეთ ჩვენს „მამა-პაპათა და პაპის პაპათაც“ და ჩქარა, იმედია, იმის დამტკიცებასაც დაიწყებთ, რომ ქართველი ბატონიშვილები მე-XI და XII საუკ. ლოტოს თამაშობდნენ და მთელ ღამეებს გაიძახოდნენ: „პედესეტ ადინ“, „შედესეტ“, „სოროკოვოი ბოჩკა“, „ტუდი-სუდი“ და სხვანი.

მოქალაქე.

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

3 მარტს:

სიკო სულიკაშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-2 ნაწილის 1484 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

სიმონ მახარაძისა—ჩუმად არაყის გამოხდა ბრალდება.

ვიქტორი ზვიადისა—ყაჩაღობა ბრალდება.

სიმონ ბელაშვილისა, რომლსაც დედის გალახვა ბრალდება.

6 მარტი.

მიხეილ ციცაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-354 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

— ივლიტე ყიფიანისა, სასჯ. დებ მე 1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

ლევან ბერაძისა და სხვ., რომელთაც ყაჩაღად გავარდნა ედებათ ბრალად.

სოლომონ და სხვა ორჯონიკიძეებისა და შოშიტაიშვილისა, რომელთაც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდგან 50,000 მანეთის მოპარვა ბრალდებათ.

ივლიანე მგელაძისა—სასჯ. დებ. მე-294 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

განცხადებანი

საათოიანი საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღს გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—2)

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘ № 741.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲡᲐ: Тифлисъ. „Фармацевтъ“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



როიალები



პიანინო



ფის-კარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ

Ბ. Მ. ᲛᲘᲠᲘᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡᲐ

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—ნ.—10)

მკურნალი-ქალი

მ. ს. ბაქრაძე

ნაშუადღევის 1-დან 2 საათამდე ავადმყოფს ბავშვებს ყოველ-დღე იღებს.

ᲬᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡ Ქ., ᲡᲐᲮᲚᲘ № 25.

(10—5.—7)

ᲫᲛ. Მ. ᲓᲐ ᲥᲐ. ᲔᲜᲘᲙᲝᲚᲝᲤᲝᲕᲔᲑᲘᲡ

ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲨᲘ

მკურნალები ჰმორიგეობენ

ᲓᲦᲔ-ᲓᲦᲔᲛᲝᲑᲘᲗ

საღამოს 9 საათ. დილის 7 საათამდე.

ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ, ᲙᲐᲓᲔᲢᲗᲐ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ.

(10—29—9). ᲤᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ, № 637.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Февраля 1901 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.